

სამაგისტრო პროგრამა

ფაკულტეტის დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში (MSc in Ecology)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი, 120 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2020 წელს. გაუმჯობესების მიზნით პროგრამა ექვემდებარება განახლებას ყოველ სასწავლო წელს.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<p>მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისას ყურადღება ექცევა სტუდენტის მოტივაციას, ეკოლოგიური პრობლემების და საკითხების შესახებ ინფორმირებულობას, ზოგადი ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნას, ასევე ინგლისური ენის ცოდნას (მინ. B1), რაც აუცილებელია სასწავლო მასალის ათვისებისთვის.</p> <p>მაგისტრატურაში სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფეროში.</p> <p>დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება".</p>	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევრები ეკოლოგიის დარგში, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი, როგორც დასაქმების ბაზარზე, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე და:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეძლებენ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას ცხოველთა ეკოლოგიის, მცენარეთა ეკოლოგიის ან გარემოსდაცვითი მიმართულებით; • შეძლებენ ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან; • აღჭურვილნი იქნებიან ანალიტიკური და გადაწყვეტილებების ავტონომიურად მიღების უნარებით. 	
სწავლის შედეგები	
<p>კურსდამთავრებულს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ეკოლოგიის დარგში თანამედროვე მიღწევების, თეორიების და მეთოდების, ეკოლოგიური, პოპულაციურ-ბიოლოგიური, ეკოლუციური კონცეფციების შესახებ და შეუძლია მათი კრიტიკული შეფასება; 2. აქვს ცოდნა ეკოსისტემების მდგრადი მართვის შესახებ; 3. შეუძლია ეკოლოგიური ცოდნის გამოყენება გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიკაციისთვის და მათი გადაჭრის ეფექტური გზების დაგეგმვისთვის; 4. შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება არჩეული მიმართულებით (მცენარეთა ეკოლოგია, ცხოველთა ეკოლოგია, ან გარემოს დაცვა), და კვლევის შედეგების აღწერა და ინტერპრეტაცია თანამედროვე ცოდნის/თეორიების გამოყენებით; 	

5. კვლევის/პრობლემის შესწავლის პროცესში შეუძლია რელევანტური მეთოდების (საველე ეკოლოგიური, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების და მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის მეთოდების და/ან ეკოლოგიური და ქცევითი ექსპერიმენტების), შესაბამისი საველე და ლაბორატორიული ტექნიკისა და აპარატურის გამოყენება;
6. კვლევის პროცესში მოქმედებს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად, საჭიროებისამებრ იცავს უსაფრთხოების წესებს;
7. შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგების, იდეებისა და მოსაზრებების ეფექტური გადმოცემა აკადემიური, პროფესიული საზოგადოების წინაშე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
8. შეუძლია სწავლისა და კვლევის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი პროცესების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

- (A) 91 - 100 ფრიადი
- (B) 81 - 90 ძალიან კარგი
- (C) 71 - 80 კარგი
- (D) 61 - 70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51 - 60 საკმარისი
- (FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) 0 - 40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფეროები

ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში – ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებში, სატყეო, სათევზაო და სანადირო მეურნეობებში; სამთავრობო სააგენტოებში, ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებში; ცხოველებისა და მცენარეების შენახვასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში – ზოოპარკებში, ბოტანიკურ ბაღებში, საბუნებისმეტყველო მუზეუმებში; სამეცნიერო დაწესებულებებში – უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში და ლაბორატორიებში; ან გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საღიგობო აუდიტორიები, არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“, Elearning, Turitin, საილუსტრაციო ტექნიკა, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, საველე სტაციონარები, ბიბლიოთეკა პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის კვლევით ინსტიტუტების რესურსები. მაგ.: მიკროსკოპები, კოლექციები, რეაქტივები, საველე და ლაბორატორიული აპარატურა.

- (1) მოლეკულურ-გენეტიკური ლაბორატორია;
- (2) საველე სტაციონარები სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროში და გრიგოლეთში;
- (3) სამეცნიერო გემი „წმინდა ილია“
- (4) თანამედროვე საველე აღჭურვილობა, გარემოს მონიტორინგისთვის;
- (5) ზოოლოგიისა და ბოტანიკის კვლევითი ინსტიტუტები;
- (6) ტყის ეკოლოგიის ლაბორატორია, ზოოლოგიური ლაბორატორია, ენტომოლოგიური ლაბორატორია, მცენარეების რკვევის ლაბორატორია;
- (7) GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების) კლასები უნივერსიტეტის კამპუსში.

პარტნიორი ორგანიზაციები:

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
დაცული ტერიტორიების სააგენტო;
Gis Lab.

ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდება არსებულ კვლევით ცენტრებში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, ასევე თბილისის ზოოპარკში, ბოტანიკურ ბაღში, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, მათ შორის:

1. სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი
2. ცხოველთა ეკოლოგია - მინიმუმ 12 კრედიტი
3. მცენარეთა ეკოლოგია - მინიმუმ 12 კრედიტი
4. გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ბლოკი - მინიმუმ 18 კრედიტი
5. მეთოდური ბლოკი – მინიმუმ 12 კრედიტი
6. კომუნიკაციის ბლოკი - 6 კრედიტი
7. არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 12 კრედიტი
8. სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი

არჩევითი კურსის სანაცვლოდ სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს დამატებითი კურსები სხვა ბლოკებიდან, გარდა კომუნიკაციური და სავალდებულო ბლოკისა.

სწავლის მეთოდები

ლექცია, სემინარი, დისკუსია, ლაბორატორიული სამუშაო, პრეზენტაცია, პრაქტიკული მეთოდი, სავლეს სამუშაო, სუპერვიზია, ანალიზი და სინთეზი.